პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ორშაბათი,
27
მაისი
1935 წ.
№ 122 (4278)

## დღეს ნომერში

- ერთხელ კიდევ „პარტიული მეურნეობის" შესახებ („პრავდის" მეთაური).
- საკ. კ. პ. (ბ) ც კ-ის დადგენილება ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების შესახებ.
- სამხრეთ-ოსეთმა შეასრულა თესვის გეგმა.
- „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები".
- უცხოეთის პრესის გამოხმაურება ჰიტლერის სიტყვაზე.
- მუსოლინის სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
- ერთა ლიგის საბჭოს მორიგი [illegible]
- 30 წლის წინათ (მე-2 გვ.).

# ერთხელ კიდევ „პარტიული მეურნეობის" შესახებ

„პრავდის" მოწინავე 26/V

ჩვენი პარტია ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა ორგანიზაციულ მუშაობას, მუდამ თვალყურს ადევნებდა თავისი რიგების სიწმინდეს და კომუნისტების ბრძოლისუნარიანობას. არალეგალობის პერიოდშიც, სამოქალაქო ომის პერიოდშიც, სოციალისტური მშენებლობის წლებშიც პარტიის საუკეთესო ორგანიზატორები პირადად ეწეოდენ სამძიმო ორგანიზაციულ მუშაობას, სწავლობდენ ორგანიზაციის შემადგენლობას, თვითონ ამოწმებდენ პარტიული დოკუმენტების გაცემას, წვდებოდენ „პარტიული ტექნიკის", „პარტიული მეურნეობის" ყველა დეტალს.

პარტია, რომელიც მეთაურობს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს, პარტია, რომელიც აწარმოებს გაფთრებულ ბრძოლას მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს ორგანიზაციულად მტკიცე, უნდა იცნობდეს თავის მებრძოლებს და პასუხისმგებელი იყოს მათთვის.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში ცხოვრობს. ეს მარტო გეოგრაფიული ცნება როდია. ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს კონტრდაზვერვის ორგანოების მიერ მოგზავნილი ჯაშუშები, დივერსანტები და ტერორისტები ცდილობენ აამუშაონ თავისი მოწამლული იარაღი. ჩვენი ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან სოციალიზმის დაუძინებელი მტრები. პროლეტარიატისადმი მტრული, განადგურებული კლასების ნამსხვრევები. კიდევ მოიპოვებიან მიმალული კონტრრევოლუციური ტროცკისტები, ზინოვიეველთა თეთრგვარდიული ნაძირალები. მტრები უკიდურესად გაბოროტებული არიან სოციალიზმის წარმატებებით და თავისი არსებობის უკანასკნელ ჟამს არავითარ მოტყუებას, გამცემლობას, დანაშაულს არ ერიდებიან.

გაძლიერებული, მუდმივი სიფხიზლე, რომელსაც ყოველდღე გვასწავლის ამხანაგი სტალინი, საჭიროა ყველა კომუნისტისათვის, მუშათა კლასის ყველა შვილისათვის. უნდა ვიცოდეთ, რომ მტერი ცდილობს შეიპაროს პარტიის რიგებში, გამოიყენოს თავისი ყოფნა მის რიგებში იმისათვის, რათა ლახვარი ჩასცეს პროლეტარულ საქმეს. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ გვსურს უმოკლეს ვადაში მოვსპოთ ყველა მტერი, უწინარეს ყოვლისა უნდა დავძლიოთ ორგანიზაციული დაუდევრობა ჩვენს რიგებში, დავამყაროთ წესრიგი ჩვენს საკუთარ პარტიულ სახლში.

საქმე ეხება იმას, რომ უმოკლეს დროში ბოლო მოვუღოთ იმ უმსგავსოებას, რომელსაც ვხვდებით კომუნისტთა პარტიული დოკუმენტების აღრიცხვასა, გაცემასა და შენახვაში. პარტბილეთი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ის პირი, ვისაც იგი მიეცა, პარტიის წევრია. ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა ზიანს აყენებს პარტიას ქარაფშუტული, დანაშაულებრივი დამოკიდებულება აღრიცხვისადმი, პარტბილეთების გაცემისა და შენახვისადმი. არის საკმაოდ ბევრი ფაქტი, როცა პარტიის და მუშათა კლასის მტრებისათვის პარტიული დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო, როცა ისინი ღებულობდენ პარტბილეთებს და ეფარებოდენ მათ თავის საზიზღარ დამანგრეველ მუშაობაში პარტიის წინააღმდეგ, პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამას უნდა ჩავუფიქრდეთ. ყოველგვარი დაუდევრობა კომუნისტების აღრიცხვაში და პარტიულ დოკუმენტებთან მოპყრობაში არის ხელისშეწყობა პარტიის მოსისხლე მტრებისათვის. საკითხი ასე და მხოლოდ ასე შეიძლება იდგეს.

„პრავდას" უკვე არაერთხელ დაუწერია, რომ ძალიან ბევრ ორგანიზაციაში კომუნისტების აღრიცხვა აბნეულია, საღრიცხვო ბარათებს არასწორად ავსებენ, მრავალი კომუნისტის პარტბილეთში ვხვდებით სხვადასხვა ამონაფხეკს, შესწორებებს. პარტიული დოკუმენტებისადმი ასეთი დანაშაულებრივი დამოკიდებულების შედეგად ბევრგან პარტიაში შეიპარენ ჟულიკები, კულაკები, ყოფილი თეთრგვარდიელები. პარტიული ბილეთების და აღრიცხვის ასეთ მდგომარეობას, როგორც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია, ყველა ორგანიზაციაში ვხვდებით. აი რატომ არის საჭირო ისევ და ისევ გავამახვილოთ ეს საკითხი, განსაკუთრებით პარტბილეთების მომავალ გამოცვლასთან დაკავშირებით. ეს უნდა ვქნათ კიდევ იმიტომ, რომ დღემდე ბევრ პარტიულ ორგანიზაციას პრესის, ცალკეული კომუნისტების სიგნალების მიუხედავად, არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ მოსპოს უმსგავსოებანი. ისინი კომუნისტთა აღრიცხვის საქმეს, ალბათ, კვლავ ტექნიკურ საქმედ სთვლიან.

მაგალითისათვის შორს არ მოგვიხდება წასვლა. ავიღოთ იგივე ივანოვის საქალაქო კომიტეტი, რომლის შესახებაც „პრავდას" არაერთხელ დაუწერია. საქალაქო კომიტეტის და პარტკომების საღრიცხვო ცნობები არ შეეფერებიან კომუნისტების ნამდვილ რაოდენობას ორგანიზაციაში. აღრიცხვაზე ითვლება ათას ხუთასი „მკვდარი სული". სად არიან ეს ადამიანები, სად არის მათი პარტიული ბილეთები, — ეს არავინ იცის. პარტბილეთების აღრიცხვა არ წარმოებს, საქალაქო კომიტეტს არ შეუძლია გვიპასუხოს, თუ რა უყო მრავალ ასეულ ბილეთს. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ბილეთების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელში ჩაუვარდათ მტრებს და ბნელ ელემენტებს. მელანჟის კომბინატში დაახლოვებით ყოველ მეოთხე კომუნისტის ბილეთში ვხვდებით ამონაფხეკს, არასწორ ცნობებს და სხვ. რა შეიძლება იყოს ამგვარ მდგომარეობაზე უარესი? განა საჭიროა ამაზე უფრო მკაფიო მაგალითი ორგანიზაციული მუშაობისადმი სამარცხვინო არაპარტიული დამოკიდებულების ნათელსაყოფად?!

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საღრიცხვო ბარათმა, რომელიც პარტბილეთის დამატებით ადასტურებს კომუნისტის პარტიულ კუთვნილებას, დაკარგა თავისი მნიშვნელობა ამ ბარათისადმი უაღრესად დაუდევარი დამოკიდებულების გამო. ბარათებში წლობით არ შეაქვთ მომხდარი ცვლილებანი, აღრიცხვაზე აყვანა უბრალო ფორმალობად იქცა და დავალებული აქვს ტექნიკურ მუშაკებს. ზოგიერთ რაიკომში საღრიცხვო ბარათებს ისე ეპყრობიან, როგორც საბიბლიოთეკო ბარათს: ყუთებს ქექავს ყველა, ვისაც კი ეს არ ეზარება. მაგალითად, ბობრუისკში პარტიის წევრებისათვის გამოტანილ საყვედურს სწრაფად ივიწყებენ, რადგან იგი საღრიცხვო ბარათებში არ შეაქვთ. ხარკოვში აღრიცხვისა და ბარათებში ჩაწერისადმი ასეთი დაუდევარი დამოკიდებულების გამო პარტიას აქტიური ტროცკისტები ეფარებოდენ.

ავიღოთ მეორე საკითხი: საწევრო შესატანის გადახდევინება. აქაც შეიძლება დავინახოთ უდარდელი დამოკიდებულება პარტბილეთისადმი. შესატანს აგროვებენ „ამკრეფნი". გადახდის აღსანიშნავად ბილეთებს ართმევენ, ისინი შემდეგ ამ „ამკრეფებს" დააქვთ, დასტობით კარგავენ და სხვ. განა ეს პარტიის წესდების დარღვევა არ არის? ისმება კითხვა — რატომ არ იხდიან შესატანს თვითონ კომუნისტები, რატომ ანდობენ ამ საქმეს პარტიული ორგანიზატორები და პარტკომთა მდივნები ზოგჯერ შემთხვევით ადამიანებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში... უპარტიოებსაც კი?! ასეთი სისტემის" დროს საწევრო შესატანისათვის პასუხისმგებელია „ამკრეფი", და არა პარტიის წევრი.

ყოველივე ის, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, იმიტომ ხდება, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა პარტიული ბილეთების აღრიცხვა, გაცემა და შენახვა კანცელარიულ საქმედ გადააქციეს. ადამიანები შეცდომით ფიქრობენ, რომ ეს საკითხები არ არის მათი ყურადღების ღირსი. ასეთი დიდკაცური დამოკიდებულება პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი დარგისადმი იწვევს ბოლშევიზმის ტრადიციების დავიწყებას, უადვილებს მტრებს შეიპარონ პარტიაში. დროა გამოვუცხადოთ ომი ამ ორგანიზაციულ დაუდევრობას, შეუწყნარებელ უდარდელობას და მცონარობას პარტიის წევრთა შორის. მარტო ერთი ფაქტი გვარწმუნებს, თუ რამდენად დიდია ეს საფრთხე: ბევრი პარტიული ორგანიზაცია დასტობით და გაურჩევლად იძლეოდა პარტიულ ბილეთებს დაკარგულთა და მოტაცებულთა მაგივრად. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი „წესის" დროს პარტიის მტრებს შეუძლიათ თავისუფლად შეიპარონ ჩვენს რიგებში, დაუსჯელად ისარგებლონ თავის დამანგრეველ მუშაობაში პარტიის წევრის სახელწოდებით.

ამ ორგანიზაციული დაუდევრობის დაძლევა მთელი პარტიის, ყოველი კომუნისტის საქმეა. პარტიის ყოველი წევრი ვალდებულია შეითვისოს, რომ ის კომუნისტი, რომელიც თავისი უდარდელობით შესაძლებლობას უქმნის უცხო ადამიანებს ისარგებლონ პარტიული ბილეთით, თვითონ ხდება პარტიის მტრების დამხმარე. პარტიის წევრს უნდა ახსოვდეს, რომ თვითეული დაკარგული და მოტაცებული პარტბილეთი პარტიის მოსისხლე მტრებს, ჯაშუშებს, მუშათა კლასის გამცემლებს საშუალებას აძლევს შეიპარონ ჩვენს რიგებში. ასეთი შესაძლებლობა უნდა აღიკვეთოს.

უახლოეს დროში მოხდება პარტბილეთების გამოცვლა. სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, მოვაგვაროთ სწორი აღრიცხვა, შევამოწმოთ და კარგად შევინახოთ პარტიული დოკუმენტები, მოვსპოთ თვითნებობა პარტბილეთების გაცემაში. მანამდის, სანამ ეს არ არის გაკეთებული, ლაპარაკიც კი არ შეიძლება პარტიაში მიღების დაწყების შესახებ.

პარტბილეთების გამოცვლის ვადებიც პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მალე მოიყვანს წესრიგში თავის „პარტიულ მეურნეობას" ესა თუ ის ორგანიზაცია. პარტბილეთების გამოცვლას შეიძლება შევუდგეთ მხოლოდ მაშინ, როცა გვექნება სრული რწმენა, რომ აღრიცხვა სათანადოდ მოგვარებულია, ნაკლოვანებანი გამოსწორებულია და არევდარევა მოსპობილია. ამ საქმეში ისე როგორც არსად, საშიშია ზოგადობა, საშუალო ციფრები, მიახლოვებული ცნობები. აღრიცხვა უნდა დავაყენოთ, როგორც საათი, რათა არ გამოვუშვათ არცერთი, თუნდაც ყველაზე მცირე, ორგანიზაცია და არცერთი კომუნისტი და მხოლოდ მაშინ, როცა შემოწმება ჩატარებულია ყველა ორგანიზაციაში და წესრიგი დამყარებულია მთლიანად საოლქო ან სამხარეო ორგანიზაციაში, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია შევუდგეთ პარტიული დოკუმენტების გამოცვლას.

პარტიული ორგანიზაციის ყოველი ხელმძღვანელის მოვალეობაა პირადად მოკიდოს ხელი აღრიცხვის და პარტიული დოკუმენტების შემოწმებას. ეს დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი სამუშაოა, რომლის შედეგად ჩვენი რიგების ბრძოლისუნარიანობა ბევრად უნდა გაიზარდოს. წესრიგი ჩვენს საკუთარ პარტიულ სახლში რაც შეიძლება მალე უნდა დავამყაროთ.

# „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები"

## შეკითხვა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს

**ლონდონი**, 25 მაისი. როგორც ბერლინიდან იუწყებიან, ინგლისის ელჩმა ფიპსმა ჰიტლერის სიტყვის გამო შემდეგი შეკითხვები მისცა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს: 1) როგორია გერმანიის დამოკიდებულება სამოქალაქო ავიაციის საკითხისადმი საჰაერო ძალების გამონაგარიშების დროს? 2) შესაძლებელია თუ არა გერმანიის არმიის შემცირება? 3) კონკრეტულად როგორ ესმის გერმანიას თანასწორობა ერთა ლიგისადმი თავის ურთიერთობაში? 4) ფიქრობს თუ არა გერმანიის მთავრობა იკისროს ინიციატივა ჰიტლერის იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება თავდაუსხმელობის პაქტების დადებას მეზობელ სახელმწიფოებთან? (ადს).

## საომარი მოქმედება დემილიტარიზებულ ზონაში

**შანხაი**, 24 მაისი. ჩინური გაზეთების გადმოცემით, იაპონიის რაზმმა, რომელიც „დემილიტარიზებულ ზონაში" შევიდა, იერიში მიიტანა სუნ იუნ-ძინის ნაწილებზე ძუნხუას მიდამოებში. სუნ იუნ-ძინის ნაწილები, რომლებსაც იაპონელები უტევენ, იხევენ აღმოსავლეთის მიმართულებით, მდინარე ლუანისკენ.

ჩეძის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ძუნხუას რაიონში იაპონიის ჯარს რამდენჯერმე ბრძოლა მოუხდა სუნ იუნ-ძინის ნაწილებთან. იაპონიის არტილერიამ გაანადგურა მთელი რიგი სოფლები. მოსახლეობა გარბის საომარი მოქმედების რაიონიდან (ადს).

**პარიზი**, 25 მაისი. 9 და 10 ივნისს იწყობა „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები". აღნიშნულ დღეებში პარიზში წაიკითხავენ მოხსენებებს საბჭოთა კავშირის ეკონომიური, სოციალური და კულტურული მიღწევების შესახებ, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის მისი ბრძოლის შესახებ.

„საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის" დღეების ორგანიზაციისათვის შეიქმნა საპატიო კომიტეტი, რომლის შიაც შევიდენ: **ერიო, დელბოსი, დიმონზი, პიერ კოტი, ბასტიდი, სენატორი ბაშლე,** აკადემიკოსი **ლანჟევენი, ჟან პერენი, ბლოკი, მალრო, ვაიან-კუტურიე** და სხვ.

ამ ცენტრალური საპატიო კომიტეტის გარდა, მოეწყო მთელი რიგი პროვინციული კომიტეტები. მთელმა რიგმა გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. მათ შორის 29 რადიკალმა დეპუტატმა და სენატორმა 7 სოციალისტმა და სხვ. უკვე განაცხადეს თანხმობა მიიღონ მონაწილეობა „მეგობრობის დღეებში". იმედი აქვთ, რომ „მეგობრობის დღეებში" მონაწილეობას მიიღებს მრავალი პოლიტიკური სოციალური და პროფკავშირული (მათ შორის რეფორმისტული პროფკავშირიც) ორგანიზაციების 2.5 ათასი წარმომადგენელი (ადს).

## არალეგალური ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციები ავსტრიაში

**ვენა**, 24 მაისი. ავსტრიის პოლიციამ ვენასა და კარინტიაში აღმოაჩინა ახალი არალეგალური ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდენ ტერორისტული აქტების მოწყობას ავსტრიაში. დაპატიმრებულია 50-ზე მეტი ნაციონალ-სოციალისტი (ადს).

## იაპონია-ამერიკის წინააღმდეგობანი

**შანხაი**, „ჩაინა უიკლი რევიუ" ანალიზს უკეთებს რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას აზიის მიმართ, წერს: „ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ ამას წინათ დამტკიცებული ბილი ამერიკის არმიის 125.000 კაციდან 165.000 კაცამდე გადიდების შესახებ; მთავრობის გადაწყვეტილება დამთავრდეს ამერიკის ფლოტის მშენებლობა ხელშეკრულებებით ნებადართულ ფარგლებამდე; სამხედრო-საზღვაო ხელისუფლების გეგმა პანამის არხთან, ჰავაის კუნძულებზე და ალასკის სანაპიროების გასწვრივ საზღვაო და საავიაციო ბაზების გამაგრებისა, — ყოველივე ეს გარკვეულ პასუხს იძლევა იმაზე, თუ როგორ ეხმაურება ამერიკის შეერთებული შტატები წყნარ ოკეანეს პრობლემებს".

„იაპონიის იმ სამხედრო ელემენტებმა და იმათ, ვინც მათ მხარს უჭერს საზღვარგარეთ, — წერს ჟურნალი, — რომელთაც გადასწყვიტეს 1931 წელს გააუქმონ ვაშინგტონის ხელშეკრულება, ახლა შექმნეს ისეთი მდგომარეობა, რომელიც მათ შეიძლება არ მოეწონოთ, რადგან თუ ამერიკის ხალხმა გადასწყვიტა შეიარაღებაში კონკურენციის გაწევა და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება აზიაში, მაშინ არ არსებობს სხვა ერი, რომელიც ფინანსიურ-ეკონომიურად უფრო მომზადებული იყვეს ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები".

შემდეგ ჟურნალი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იაპონია და მისი პოლიტიკა აზიაში შეადგენდა განხილვის მთავარ საგანს კონგრესზე, როცა ირჩეოდა შეიარაღებისათვის საბიუჯეტო ასიგნობათა გადიდების საკითხი. იაპონია განხილვის მთავარი საგანი ხდება აგრეთვე ეკონომიური ხასიათის საკითხების გარჩევის დროს. იაპონიიდან იაფფასიანი საფეიქრო საქონლის იმპორტის შედეგად, განაგრძობს ჟურნალი, აგრეთვე ლათინურ ამერიკაში ამერიკის საფეიქრო საქონელთან იაპონიის კონკურენციის შედეგად, ბოსტონში და ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილის სხვა ქალაქებში დაიხურა ბამბეულის რამდენიმე დიდი ფაბრიკა. აგრეთვე იაპონიის მუქარამ, რომ ბრაზილიას დაეხმარება ნედლი ბამბის წარმოების გადიდებაში და ამერიკული ბამბის ნაცვლად შეისყიდის ბრაზილიის ბამბას, — წერს შემდეგ ჟურნალი, — „ნაკლებად შეუწყო ხელი ამერიკელთა გრძნობების გაუმჯობესებას ლათინურ ამერიკაში იაპონიის კონკურენციის მიმართ". „იაპონიის ცდას გაისაღოს თავისი საქონელი ლათინურ ამერიკაში, ჟურნალის აზრით, აუცილებლად უნდა გამოეწვია საყოველთაო შეშფოთება ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან იქაურ ბაზარზე ამერიკის მრეწველებს დიდი ხანია მონოპოლია აქვთ. ეხება რა ინგლისის ცდებს მიაღწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობას სხვადასხვა პროექტში, ჩინეთისათვის სესხის მიცემის პროექტის ჩათვლით, ჟურნალი მიუთითებს, რომ რუზველტმა კატეგორიულად უარი განაცხადა იმაზე, რომ „ამერიკამ მონაწილეობა მიიღოს რაიმე ფინანსიურ კავშირში" აღმოსავლეთ მხარეს. შემდეგ ჟურნალი აღნიშნავს, რომ ახლა როლები შეიცვალა. თითქმის ორი წელიწადია, მოწმობენ ეს წყაროები, სტიმსონი ცდილობდა ინგლის-ამერიკის საერთო პოლიტიკის გატარებას შორეულ-აღმოსავლეთში, ინგლისელები, მიუხედავად მათი უდიდესი ეკონომიური ინტერესებისა ჩინეთში, განზე იდგენ და ამჯობინებდენ ნარის გლეჯას ამერიკის შეერთებული შტატების ხელით. ახლა კი ინგლისი ეხვეწება ამერიკის შეერთებულ შტატებს ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები ეხვეწებოდენ ინგლისს.

რუზველტის პოლიტიკას შორეული აღმოსავლეთის მიმართ ჟურნალი შემდეგნაირად აჯამებს: 1) გიგანტური ფლოტის აგება, 2) თავიდან აცილება ყოველგვარი თუნდაც არაპირდაპირი შეთანხმებისა სახელმწიფოებთან, 3) ფილიპინებზე უარის თქმა, თუ ეს საჭირო იქნება იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნას არასასიამოვნო ამბები აღმოსავლეთში (ადს).

## უცხოეთის პრესის გამოხმაურება ჰიტლერის სიტყვის გამო

**ვენა**, 24 მაისი. შვეიცარიის პრესა ჰგმობს ჰიტლერის სიტყვას. ეხება რა ჰიტლერის ანტისაბჭოთა გამოსვლებს, ბაზელის გაზეთი „ნაციონალ-ცეიტუნგი" აცხადებს, ჰიტლერის მიერ გამოყენებული მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ „წარმართოს ბრალდებანი ყალბი გზით: თავის საკუთარ, ცოდვებს თითონ დამნაშავენი თავიანთ მსხვერპლთ ან მოწმეებს ახვევენ თავს". იმავე გაზეთის გერმანელი კორესპონდენტი იუწყება, ჰიტლერის სიტყვამ გერმანიის ბურჟუაზიულ წრეებსაც კი სავსებით გაუცრუა იმედი.

**ვენა**, 25 მაისი. ჰიტლერის სიტყვამ კვლავ გაამწვავა ავსტრია-გერმანიის ურთიერთობა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჰიტლერის სიტყვაში გამოსჭვიოდა იტალიის პოზიციაზე ზეგავლენის მოხდენის ცდა. ამასთან დაკავშირებით, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „პოლიტიშე კორესპონდენცი" იუწყება: ავსტრიის ნაციონალ-სოციალისტები, ბერლინიდან მიღებული ბრძანების თანახმად, ცდილობდენ გაემართათ ანტიიტალიური დემონსტრაციები, რომლებიც ჩააქრო ავსტრიის პოლიციამ. ამით, — წერს ოფიციოზი, — ავსტრიის ნაციონალ-სოციალისტებმა თვითონვე გამოამჟღავნეს ჰიტლერის სიტყვის ორპირობა". ავსტრიის ხელისუფალნი ვენაში ავრცელებენ პლაკატებს, რომლებშიაც ჰიტლერის სიტყვა დაგმობილია, როგორც „მიხაკისფერ ხალათიანთა ფარისევლობის მკაფიო ნიმუში" (ადს).

## საბჭოთა კავშირის და ჩეხო-სლოვაკიის სავაჭრო ურთიერთობა

**პრაღა**, 24 მაისი. ჩეხოსლოვაკიის სააგენტო იუწყება:

„ნაციონალური კრების მუდმივმა კომისიამ მოიწონა მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტი ხელშეკრულებისა, რომელიც 1935 წლის 25 მარტს დაიდო საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ. მთავრობის განკარგულებით იგი წინასწარ შესულია ძალაში მიმდინარე წლის აპრილიდან. ხელშეკრულება, როგორც ცნობილია, ემყარება რაც შეიძლება მეტ უპირატესობათა მინიჭების პრინციპს. კომისიის რეფერენტმა, დეპუტატმა რემეშმა აღნიშნა, ამ ხელშეკრულების დადებით შეიქმნა წანამძღვარი ორ სახელმწიფოს შორის საქონელბრუნვის გაცოცხლებისა და ნორმალური სამეურნეო ურთიერთობის დამყარებისათვის" (ადს).

## ავიო-მიმოსვლა

### ტოკიო-ჩანჩუნი

**შანხაი**, 23 მაისი. 2 მაისს ტოკიოსა და ჩანჩუნს შუა რეგულარული ავიომიმოსვლა დაიწყო. დღემდე ამ პუნქტებს შუა გადაფრენას ორი დღე უნდებოდა. 2 მაისიდან შემოღებული ახალი ცხრილის მიხედვით, გადაფრენა ერთი დღის განმავლობაში ხდება. მანჯურიის საავიაციო კომპანიის საფოსტო-სამგზავრო თვითმფრინავები ჩანჩუნიდან ოსაკაში მიდიან. აქედან იმავე დღეს ტოკიოში ფოსტა გადააქვთ და მგზავრები მიჰყავთ იაპონიის საავიაციო კომპანიის თვითმფრინავებით. ჩანჩუნიდან ტოკიომდე გადაფრენას უნდება 16 ნახევარი საათი (ადს).

# ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების შესახებ

## საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება

1. მოწონებულ იქნას ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების პლენუმის და პრეზიდიუმის წინადადება საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

2. საზოგადოების მთელი საქმისა და ქონების მისაღებად და იმ წარადების დასამუშავებლად, რომელიც გულისხმობს საზოგადოების სალიტერატურო, სამუზეუმო და სხვა მასალების უკეთ გამოყენებას, შეიქმნას კომისია ამხ. ა. ა. ანდრეევის, იაროსლავსკის, შკირიატოვის, ლენგნიკის, სამოილოვის და მალენკოვის შემადგენლობით.

3. დაევალოს სათანადო ოლქკომებს, სამხარეო კომიტეტებს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს შექმნან კომისიები ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა სალიკვიდაციოდ და მათი საქმეების და ქონების მისაღებად.

**საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.**

1935 წლის 25 მაისი.

# ამხანაგ სტალინთან

## (საუბარი რეჟისორ ა. დოვჟენკოსთან)

შენიშვნა 26 მაისის „რაბოჩაია მოსკვადან"

**მოსკოვი**, 26 მაისი. 26 მაისს, — მოგვითხრობს ამხ. დოვჟენკო ჩვენს კორესპონდენტს, — მე მიმიღო ამხანაგმა სტალინმა. საუბარში მონაწილეობდენ ამხანაგი, **კალინინი, კოსიორი. პოსტიშევი:**

**ძნელია სიტყვით გადმოვცეთ ჩემი გრძნობები და განცდა ამ საუბრის დროს. ამხანაგი სტალინი უბრალოდ, თბილად და გულწრფელად მელაპარაკებოდა ფილმ „შჩორსზე" მუშაობის შესახებ. მან მომცა მთელი რიგი ფრიად ძვირფასი და მნიშვნელოვანი მითითებანი, რომლებიც საფუძვლად დაედება ჩემს შემდგომ მუშაობას სურათზე. კერძოდ, ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ აუცილებელია გამოყენებულ იქნას ფილმში ხალხური სიმღერების უმდიდრესი მასალა.**

**მან ილაპარაკა შესანიშნავ სიმღერებზე, რომლებიც უკვე ჩაწერილია, გრამოფონის ფირფიტებზე.**

— თქვენ მოგისმენიათ ეს ფირფიტები? შემეკითხა ამხანაგი სტალინი,

— არა, არ მომისმენია, პატეფონი არა მაქვს.

**ერთი საათი თუ გავიდა, რაც ამხანაგ სტალინისაგან დავბრუნდი, და მე შინ მომიტანეს პატეფონი — ბელადის საჩუქარი. განა საჭიროა ლაპარაკი, რომ ამ პატეფონს მთელ ჩემს სიცოცხლეში შევინახავ. კიდევ სად, რომელ სხვა ქვეყანაში გრძნობენ ასე უშუალოდ მუშები, მშრომელები, ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის მუშაკები სიახლოვეს თავის უსაყვარლეს ბელადთან და ყოველდღიურ ზრუნვას ჩვენი სახელოვანი პარტიის და ამხანაგ სტალინის მხრივ.**

**საუბარი ამხანაგ სტალინთან მე მაღფრთოვანებს კიდევ უფრო ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.**

# ამხ. ლ. ბერია ბათომში

**ბათომი**, 26 მაისი. 23 მაისს ბათომში ჩამოვიდა საკ. კ.პ. (ბ). ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ამხ. ლავრენტი ბერია ამხ. მგალობლიშვილთან, კუდრიავცევთან, აღნიაშვილთან და კეკელიძესთან** ერთად. 23—24 მაისს საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მდივნების **ამხ. გეურქოვისა და ლორთქიფანიძის** თანხლებით მათ დაათვალიერეს ოხბამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, მუხაესტატეს, კვირიკეს და ალამბრის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობანი, აგრეთვე კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი".

ამხ. ბერიამ ადგილობრივ მუშაკებს მისცა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრაქტიკული მითითებანი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მუშაობის შესახებ; კერძოდ ამხ. ბერიამ ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ლიმონის უფრო გაძლიერებით განვითარება კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

# სამხრეთ-ოსეთმა შეასრულა

## თესვის გეგმა

**სტალინირი**, 25 მაისი. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა 20 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულა. **სულ დათესილია კულტურები 26.439 ჰექტარზე, ანუ გეგმის 101 პროც.** აქედან **მარცვლეული კულტურების** თესვის გეგმა შესრულებულია 102 პროც., **მრავალწლიანი ნარგავების გაშენების** — 105.6 პროც., **საკვების ბალახების** თესვის — 108,3 პროც., **სასილოსე ნათესების** — 105,5 პროც., **ძირნაყოფების** — 102,4 პროც., ბაღების რემონტის გეგმის 118 პროც.

საგაზაფხულო სამუშაოების ხარისხი შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესია. მთიან ადგილებში მიმდინარეობს ქერისა და კართოფილის თესვა.

შეუდგნენ ნათესების გათოხნა — დამუშავებას და საანეულო ხვნას.

საქ. კ.პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი
**თაუთიევი**
ცაკის თავმჯდომარე **ჯიოევი**
მიწსახკომი — **ხუბაევი**

# აბრეშუმის პარკის პირველი მოსავალი

**ხონი**, 26 მაისი. (სპეც. კორ.). გუშინ ხონის რაიონის მეოთხე უბნის მეაბრეშუმემ **ტატიანა გალუსტოვამ** მიმღებ პუნქტს პირველმა ჩააბარა აბრეშუმის პარკი.

გეგმით გალუსტოვას 6 გრამ თესლიდან სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებია 8 კილოგრამი პარკი, ფაქტიურად ჩააბარა პირველი ხარისხის 26 კილოგრამი, გეგმის 210 პროცენტი.

**გრ. მოქიბ**

# საბჭოთა კავშირში

## მთელი ქვეყანა აშენებს თვითმფრინავ-გიგანტებს

**მოსკოვი**, 26 მაისი. მთელს საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა სახსრების შეგროვება საჰაერო გიგანტების ასაგებად.

მეტროპოლიტენის მუშებმა ახალი საბჭოთა თვითმფრინავების ასაგებად შეიტანეს 30 ათასი მანეთი — ერთი დღის ხელფასი.

ლენინგრადის კიროვის სახ. ქარხნის (ყოფილი „კრასნი პუტილოვეცი") მუშები გამოსასვლელ დღეს, 24 მაისს, მუშაობდენ თვითმფრინავ გიგანტების ასაგები ფონდის სასარგებლოდ.

ლუდინოვსკის ქარხნის (დასავლეთის ოლქი) მუშებმა მშენებლობის ფონდში გადარიცხეს 32.700 მანეთი, კოველსკის რაიონის დიშევსკის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა შეიტანეს 1000-ზე მეტი მანეთი.

ოდესასა, ნიკოლაევსკსა, ხერსონსა, კიროვოსა და სხვა ქალაქებში არ დარჩენილა არც ერთი საწარმო, რომელსაც მშენებლობის ფონდში თავისი წვლილი არ შეეტანოს. ოდესის უდიდეს საწარმოების, ხვოროსტინის სახელობის ჯუტის წითელ-დროშოვანი ფაბრიკის, ოქტომბრის რევოლუციის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის და „კრასნი პროფინტერნის" — მუშები თხოვენ პარტიას და მთავრობას ნება დართონ აგებულ იქნას კიდევ ორი თვითმფრინავი — გიგანტი „სტანისლავ კოსიორი" და „პაველ პოსტიშევი".

## სსრ კ-ის მეცნიერებათა აკადემიის სესია

**მოსკოვი**, 25 მაისი. გუშინ გაიხსნა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის მაისის სესია, რომელიც მიძღვნილია ქიმიის, ნიადაგის და აგროქიმიის საკითხებისადმი. პირველი მოხსენებით გამოვიდა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **მურალოვი**.

შემდეგ მოისმინეს აკადემიკოს ს. გ. **სტრუმილინის** მოხსენება საბჭოთა კავშირში ქიმიური მრეწველობის განვითარების შესახებ და აკადემიკოს ბ. ა. **კელერის** მოხსენება საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედებაში ნიადაგმცოდნეობის როლის შესახებ.

სესია გასტანს 30 მაისამდე (ადს).

## ანრი ბარბიუსის „სტალინი" ბელორუსულ ენაზე

**მინსკი**, 25 მაისი. ბელორუსიის სახელგამმა შეიტანა თავის გეგმაში ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსის წიგნის „სტალინის" გამოცემა ბელორუსულ ენაზე (ადს).

## თესვა საბჭოთა კავშირში

**მოსკოვი**, 25 მაისი. 20 მაისისთვის თესვის საკავშირო გეგმა შესრულებული იყო 91 პროცენტით (შარშან — 83,4 პროცენტით).

82.675 ათასი ჰექტარი დათესილი ფართობიდან კოლმეურნეობებზე მოდის 66.527 ათასი ჰექტარი (გეგმის 97.5 პროცენტი), საბჭოთა მეურნეობებზე — 9.910 ათასი ჰექტარი (86,1 პროც.). ერთპიროვნულ სექტორზე მოდის 6.243 ათასი ჰექტარი — დავალების 55,9 პროცენტი (ადს).

## რ. ს. ფ. ს. რ.-ს განსახკომთან არსებული საბჭოს შემადგენლობა

**მოსკოვი**, 25 მაისი. რ.ს.ფ.ს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ დაამტკიცა საბჭო რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის განათლების სახ. კომისართან 91 კაცის შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია განათლების სახ. კომისარი ამხ. ბუბნოვი. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად — განათლების სახ. კომისრის მოადგილეები ამხ. ეპშტეინი, კრუპსკაია, გ. ი. ბროიდო. (ადს).

# საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

კოლექტიური მეურნეობების საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროთა დებულების მე-7 მუხლის „ბ" და „ე" პუნქტისა და კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროს დროებითი ტიპური წესდების მე-12 მუხლის „ბ" და „ე" პუნქტების განმარტების შესახებ.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:**

1. განმარტებულ იქნეს, რომ, კოლექტიური მეურნეობების საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროთა დებულების მე-7 მუხლის „ბ" და „ე" პუნქტისა (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-26 №-ი, მუხ. 160) და კოლმეურნეთა საზოგადოებრივ საურთიერთო დახმარების სალაროების დროებითი ტიპური წესდების მე-12 მუხლის „ბ" და „ე" პუნქტების (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-14 №-ი, მუხ. 202) თანახმად, ამ სალაროებს გადაეცემათ ლიკვიდირებული ყოფილი საურთიერთო დახმარების საზოგადოების მთელი ქონება და აგრეთვე ჯარიმები და სხვა თანხები, რასაც სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოები გადასწყვეტენ სალაროების სასარგებლოდ.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — აღკვეთონ აღნიშნული ქონებისა და თანხების სხვაგვარად გამოყენება. ხოლო ფინანსთა სახალხო კომისარიატს — მისცეს სათანადო დირექტივები ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**გ. მგალობლიშვილი**

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი**
**ა. ქავთარაძე**

1935 წ. მაისი 7 № 557
ტფილისი.

# „სოციალისტური მიწათმოქმედების სახლები"

**მოსკოვი**, 23 მაისი. ასხაბადსა, სემიპალატინსკსა, ნოვოსიბირსკსა, კუიბიშევსა, ვორონეჟსა და ულან-უდეში (ბურიატ-მონღოლეთი) გაიშალა „სოციალისტური მიწათმოქმედების სახლთა" მშენებლობა, ეს ლამაზად გაფორმებული 5-6,—სართულიანი შენობები სოფლო-სამეურნეო ცხოვრების ნამდვილი ცენტრები იქნება. აქ მოთავსდება ყველა სამეცნიერო და ხელმძღვანელი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები. მოეწყობა სასტუმროები კოლმეურნეთათვის, გაიხსნება კლუბები და სამკითხველოები.

ყველაზე დიდი „სოციალისტური მიწათმოქმედების სახლი" შენდება ნოვო-სიბირსკში. მისი მოცულობა 120 ათასი კუბიკური მეტრია. მშენებლობის ღირებულება აღემატება 4 მილიონ მანეთს (ადს).

# 1905 30 წლის წინათ

## რედაქციისაგან

მიმდინარე წელს სრულდება 1905 წ. რევოლუციის 30 წლისთავი ლენინის შესანიშნავი დახასიათებით, ეს იყო ოქტომბრის დიდი რევოლუციის „გენერალური რეპეტიცია". უდიდესი აღტყინებით ჩაებნენ 1905 წლის რევოლუციის ფერხულში, ყოფილი იმპერიის სხვა ნაწილებთან ერთად, მაშინდელ კავკასიის სამრეწველო ცენტრებში და სოფლებში. კერძოდ საქართველოს მოწინავე მუშები და გლეხობის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ გრძნობდა რევოლუციის ცხოველმყოფელ ძალას, აქტიურად გამოეხმაურნენ 1905 წ. ამბებს და იარაღით ხელში აღსდგნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამხ. სტალინის მეთაურობით, რომელიც მაშინ კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს სჭედდა და აკაჟებდა, ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ კავკასიის მშრომელთ, რომელთაც თავიანთი რევოლუციური ხმა შეუერთეს რუსეთის მუშათა და გლეხთა აჯანყების ძლიერ გუგუნს.

მუშათა და გლეხთა მღელვარე კრებებით, საპროტესტო მიტინგებით, პოლიტიკური დემონსტრაციებით, საყოველთაო გაფიცვებით, შეიარაღებული გამოსვლებით და აჯანყებებით, მეფის დამსჯელ რაზმების თარეშით, ათეულ ქალაქების და სოფლების გადაწვით, რევოლუციის აპოთეოზით — მოსკოვის ბარიკადებით და მრავალ სხვა შესანიშნავი და საინტერესო ეპიზოდებით არის მდიდარი 1905 წ. რევოლუციური პერიოდი.

მას შემდეგ 30 წელმა განვლო. სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის ახალი თაობის მიერ ამ პერიოდის ისტორიული ამბების გაცნობას და შესწავლას აქვს დიდი პრაქტიკული აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ეს არის ეპიზოდები, როცა იჭედებოდა ბოლშევიზმის გმირული ტრადიციები. და მათი შესწავლას ხელი უწყობს ჩვენი ქვეყნის ახალი თაობის აღზრდას ბოლშევიზმის ამ სახელოვან ტრადიციებზე.

„კომუნისტის" რედაქცია, რომელიც ითვალისწინებს ამ გარემოებას, დღეიდან იწყებს 1905 წ. რევოლუციის განვითარების უმთავრესი ეპიზოდებისა და მომენტების შესახებ წერილებისა, შენიშვნებისა და ქრონიკის გამოქვეყნებას, რომლებიც დაეხმარებიან ჩვენს მკითხველებს გაიცნონ ან გაიხსენონ საბჭოთა კავშირის გმირული, პროლეტარიატის სახელოვანი წარსულის ეს შესანიშნავი პერიოდი.

LE PROLÉTAIRE
№ 1.
Пролетарій
Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!
Центральный Органъ Россійской Соціальдемократической Рабочей Партіи.

## გაზეთი „პროლეტარი"

30 წლის წინათ, 1905 წ. 27 (14) მაისს ჟენევაში გამოვიდა ბოლშევიკური პარტიის, მაშინ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რ.ს.დ.მ.პ.) ცენტრალურ ორგანოს — „პროლეტარის" პირველი ნომერი.

ეს იყო მოახლოებული ქარიშხალის წინ, როცა რევოლუციის ძალები ბოლშევიკების (ლენინის) მეთაურობით იკრიბებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. „პროლეტარის" გამოსვლამდე ბოლშევიკების მებრძოლ ორგანოს წარმოადგენდა „ვპერიოდი", რომელიც ლენინის, ოლმინსკის, ვოროვსკის და ლუნაჩარსკის რედაქტორობით გამოდიოდა ჟენევაში 1905 წ. 4 იანვრიდან 18 მაისამდე (გამოვიდა სულ 18 ნომერი).

ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა პარტიულ გაზეთს. იგი ხელმძღვანელობდა „ვპერიოდს" ამ გაზეთში იგი ათავსებდა არამარტო ხელმძღვანელ წერილებს, არამედ მის მიერ რედაქცია-ქმნილ და დამუშავებულ შენიშვნებსა და კორესპონდენციებსაც. „ვპერიოდმა", რომელიც გამოდიოდა თითქმის პარტიის მესამე ყრილობის დასრულებამდე, ბოლშევიზმის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ჩამოყალიბებაში ითამაშა დიდი როლი.

პარტიის მესამე — პირველმა ბოლშევიკურმა — ყრილობამ კიდეც გაითვალისწინა „ვპერიოდის" ეს დამსახურება და მის რედაქციას მადლობა გამოუცხადა.

ამასთან, მესამე ყრილობამ, პარტიის ცენტრალური ორგანოს შესახებ გამოიტანა შემდეგი პრინციპული რეზოლუცია: „იღებს რა მხედველობაში, რომ „ისკრას" რედაქცია არ გამოცხადდა ყრილობაზე და არ მიიღო ზომები III პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებსა და დირექტივებთან თავისი შემდგომი მოქმედების შესათანხმებლად, რომ ახალი „ისკრას" რედაქციის მოქმედება სრულებითაც არ წარმოადგენს მომავალში ტაქტიკური საკითხების სწორად გადაწყვეტის გარანტიას — რ.ს.დ.მ.პ. III ყრილობა ადგენს, რომ გაზეთი „ისკრა" აღარ წარმოადგენს პარტიის ცენტრალურ ორგანოს და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის წესდების თანახმად, შექმნას ახალი ცენტრალური ორგანო და უწოდოს მას „პროლეტარი".

მესამე ყრილობის ამ გადაწყვეტილების თანახმად დაიწყო გამოსვლა პარტიის ახალმა ცენტრალურმა ორგანომ „პროლეტარმა", რომელმაც ბოლშევიზმის გამობრძმედასა და მისი პოზიციის გამაგრებაში დიდი როლი შეასრულა. მესამე ყრილობის მიერ არჩეულმა ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა დაადგინა: „პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელ რედაქტორად ინიშნება ამხ. ლენინი".

„პროლეტარშიც" ლენინმა გამოიყენა რედაქციის ის შემადგენლობა, რომელიც თავის დროზე „ვპერიოდში" იყო. აქ მუშაობდნენ ოლმინსკი, ვოროვსკი, ლუნაჩარსკი, კრუპსკაია და სხვ. ამ ახალ პარტიულ ორგანოს პირველ ნომერში დაიბეჭდა მეტად საყურადღებო მასალები: ცნობა რ.ს.დ.მ.პ. III ყრილობის შესახებ (დაწერილი ლენინის მიერ), ყრილობის უმთავრესი რეზოლუციები (შეიარაღებული აჯანყების, დროებითი რევოლუციური მთავრობის, გლეხთა მოძრაობასთან დამოკიდებულების, კავკასიის ამბების და სხვ. შესახებ), პარტიის წესდება, ლენინის ცნობილი წერილი „მესამე ყრილობა", ლუნაჩარსკის და კარპინსკის წერილები და მთელი რიგი მასალები მუშათა მოძრაობის, პარტიული მუშაობის, ციხისა და გადასახლების და სხვ. საკითხებზე.

უკვე გაზეთის პირველსავე ნომერში გამოხატულება ჰპოვა იმ მღელვარებამ და მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებამ, რომელმაც იმ პერიოდში მოიცვა რუსეთის სამრეწველო ცენტრები. აქ არის კორესპონდენციები მუშათა კრებებზე, — პოლიციასა და მუშებს შორის შეტაკებებზე მოსკოვსა და პეტერბურგში, მესამე ყრილობის გადაწყვეტილებათა გამოძახილზე ნიკოლაევის მუშებში, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მუშაობაზე. ბალტიის მუშათა ჯგუფის წერილი პირველი მაისის შესახებ და სხვ. პირველი ნომრიდანვე თვალში გვეცემა „პროლეტარის", როგორც ბოლშევიკური გაზეთის დამახასიათებელი თვისება — მებრძოლ კავშირი მასებთან, რასაც ლენინი განსაკუთრებით მოითხოვდა ყველა ბოლშევიკური გაზეთისა და მათ შორის „პროლეტარისაგანაც". ამაზე მკაფიოდ ლაპარაკობს „პროლეტარის" ყოველი მორიგი ნომერი, რომელსაც პარტიულ და უპარტიო მკითხველთა ფართო წრეებში ყოველკვირეულად მიჰქონდა ახალ-ახალი ცნობები რევოლუციის ტალღების თანდათანობით აზვირთებაზე. „პროლეტარის" მე-6 და მე-7 ნომრებში მაგ. დაწვრილებით არის მოთხრობილი ჯავშნოსან „პოტიომკინის" მეზღვაურთა გმირულ აჯანყებაზე. დოკუმენტებიც კია მოყვანილი ამ აჯანყების შესახებ.

ლენინი, დიდ პარტიულ მუშაობაში გართული, პოულობდა დროს იმისათვის, რომ ყოველ-დღიურად ეზრუნა გაზეთზე. ეს ჩანს თუნდაც „პროლეტარის" რედაქციის მიმართვიდან, რომელიც ლენინის მიერ დაწერილი, გამოქვეყნდა გაზეთ „რაბოჩი"-ში (მაშინ არალეგალურად გამოდიოდა მოსკოვში, როგორც პარტიის პოპულარული ორგანო რუსეთში. გამოვიდა სულ 4 ნომერი). ამ მიმართვაში ადგილობრივ პარტიულ ამხანაგებს ლენინი ავალებს, სისტემატიურად იზრუნონ „პროლეტარზე", გადაბეჭდონ მისი წერილები, ლოზუნგები და შენიშვნები, ხშირად მოიხსენიონ მისი სახელი და ამგვარად, რაც შეიძლება პოპულარული გახადონ და მჭიდროდ დაუკავშირონ მასებს პარტიის ეს ცენტრალური ორგანო.

„პროლეტარში" ლენინმა მოათავსა 1905 წლის პერიოდის თავისი ხელმძღვანელი წერილების დიდი ნაწილი. ამ წერილებში, ებრძოდა რა მენშევიკებსა და საერთოდ რევოლუციის ყველა დეზორგანიზატორს, ლენინი ანვითარებდა თავის მოძღვრებას რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ როლისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდის შესახებ პროლეტარულ რევოლუციაში. „პროლეტარის" ფურცლებიდან ამხელდა ლენინი ყველა მოღალატეს და „რევოლუციონერებს თეთრი ხელთათმანებით", ადამიანებს, რომლებიც მუშათა და გლეხთა ძლევამოსილი აჯანყების შიშით შეპყრობილნი, ყოველნაირად ცდილობდნენ რევოლუციის განვითარების შეფერხებას. „პროლეტარის" ფურცლებზე მთელი სიმკვეთრით აისახა 1905 წ. რევოლუციის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი — პარტიის მესამე ყრილობით დაწყებული და ოქტომბრის მანიფესტით გათავებული. და მთელ ამ პერიოდში ბოლშევიკების და ლენინის თანმიმდევრულ ბრძოლაში მუშათა მასების დასარაზმავად, „პროლეტარმა" ითამაშა უდიდესი როლი.

მაგრამ 1905 წ. 25 (12) ნოემბერს „პროლეტარის" გამოსვლა შეწყდა. ამ დღეს გამოვიდა გაზეთის უკანასკნელი მე-26 ნომერი. ამ უკანასკნელი ნომრის რედაქციაში ლენინს მონაწილეობა არ მიუღია, რადგან იგი იმყოფებოდა სტოკჰოლმში და ელოდებოდა საჭირო დოკუმენტებს პეტერბურგში წასასვლელად. ასე რომ „პროლეტარის" უკანასკნელი ნომერი გამოუშვა ვოროვსკიმ.

სწორედ ამ ხანებში, ლენინმა უკვე მოახერხა პეტერბურგში წასვლა და იქ შეუდგა თავისი, პირველი ლეგალური, ბოლშევიკური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის" რედაქციის ჩამოყალიბებას. ლენინის მისვლამდე (მე-9 ნომრამდე) ამ გაზეთის რედაქციის წევრთა და თანამშრომელთა შორის პარტიის ერთგულ ადამიანებთან ერთად (მ. გორკი და სხვ.) იმყოფებოდნენ პოლიტიკურად საეჭვო პირები (პოეტი მინსკი, ტეფი და სხვ.) ლენინის მისვლის შემდეგ გაზეთის ხელმძღვანელობა მთლიანად ბოლშევიკების ხელში გადავიდა. გაზეთის მე-9 ნომერში უკვე გამოქვეყნდა ლენინის სტატია: „პარტიის რეორგანიზაციის შესახებ". ახლა უკვე „ნოვაია ჟიზნის" ფურცლებზე გააგრძელა ლენინმა „პროლეტარში" აღებული ხაზი, ამ ფურცლებზე დაანთო მან ბოლშევიზმის ცეცხლი.

ვ. მ.

## მუსოლინის სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

**რომი,** 25 მაისი. სტეფანის სააგენტოს გადმოცემით, მუსოლინიმ, რომელიც გამოვიდა პარლამენტში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, განაცხადა:

„ამის შემდეგ, რაც დაიდო ხელშეკრულებანი საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის, — ხელშეკრულებანი, რომლებმაც შესცვალეს ძალთა წონასწორობა. გერმანიის კანცლერის სიტყვას ინტერესით მოელოდნენ. მისი 13 პუნქტის მთლიანად არც მიღება შეიძლება, არც უარყოფა, უმჯობესია ამ პუნქტების გამუქება და გაღრმავება, და ეს არა იმისათვის, რომ ისინი უარვყოთ. დიპლომატია ამ მიზნით უახლოეს კვირეებში გადადგამს ნაბიჯებს. რაც შეეხება იტალია-გერმანიის ურთიერთობას, მართალია, რომ ერთად-ერთი პრობლემა, სახელდობრ ავსტრიის პრობლემა მას ჩრდილს აყენებს. მაგრამ ამ პრობლემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაინც. უადგილო არ იქნება რამდენიმე სიტყვა მივუძღვნათ იმათ ვინც მოისურვებდა ჩვენს დაშინებას ბრენერით (მთის გასასვლელი იტალია-ავსტრიის საზღვარზე), რათა ხელი შეგვეშალოს ვიყოთ მსაჯული მთელი დუნაის ყოველ. სხვა ნაწილში ამის გამო ერთხელ და სამუდამოდ და უარყოფად გადაჭრით, უნდა ითქვას, რომ ავსტრიის დამოუკიდებლობის პრობლემა ავსტრიის და ევროპის პრობლემაა და, რამდენადაც იგი ევროპის პრობლემას წარმოადგენს, იგი განსაკუთრებით ეხება იტალიას, მაგრამ არა მხოლოდ და მხოლოდ იტალიას. ეს ნიშნავს, რომ იტალია არ აპირებს შეზღუდოს თავისი ისტორიული მისია მხოლოდ ისტორიული პრობლემით. მხოლოდ სამხედრო უბნით, მარტო ერთი საზღვრის, ამასთან ფრიად მნიშვნელოვანი საზღვრის დაცვის უბნით, როგორიცაა ბრენერის საზღვარი. ვინაიდან მეტროპოლიის და კოლონიების ყველა საზღვარი განურჩევლად წმინდათა-წმინდაა და დაცულ უნდა იქნას ყოველგვარი მუქარის წინააღმდეგ, თუნდაც ეს მუქარა მხოლოდ პოტენციალური იყოს.

პრობლემების მთელი კომპლექსი, რომელიც მე თქვენს წინაშე გადავშალე, უნდა შევაფასოთ იმის მიხედვით, თუ რა შეიძლება მოხდეს აღმოსავლეთ აფრიკაში იმ პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებსაც თვითეული ქვეყანა დაიჭერს, რითაც საშუალებას მოგვცემს დავრწმუნდეთ მის კონკრეტულ მეგობრობაში, და არა წავაწყდეთ მხოლოდ ზერელე მეგობრობას და ლაყბობას, მაგრამ ჩვენ პირველ რიგში საკუთარი თავის ნდობა უნდა გვქონდეს.

ჩვენი საზღვრებისათვის დამუქრება აღმოსავლეთ აფრიკაში არის არა პოტენციალური, არამედ რეალური და ისეთი მასშტაბით იზრდება, რომ საჭიროა იტალია-აბისინიის პრობლემის მკვეთრად და რადიკალურად დაყენება. მხოლოდ მორონტი ნებისყოფის მქონე ადამიანებს შეუძლიათ წაახალისონ პროტესტები. ამ სამხედრო ზომების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ მივიღეთ და რომლებსაც კიდევ მივიღებთ მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ შევუერთდით შერიგების და არბიტრაჟის პროცედურას. რა თქმა უნდა, უალ-უალში მომხდარი კონფლიქტის ფარგლებში, მაგრამ არავის, კერძოდ იტალიაში ამაზე დიდი ილუზიები არ უნდა ჰქონდეს არავის არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ აბისინია გადაიქცევა ქვემეხად, რომელიც განუწყვეტლივ მომიზნებული იქნება ჩვენს წინააღმდეგ და რომელიც, თუ ევროპაში მღელვარება ატყდა, დაემუქრება ჩვენს პოზიციებს აღმოსავლეთ ევროპაში. მთელმა მსოფლიომ კარგად უნდა იცოდეს, რომ როცა საქმე ეხება ჩვენი ტერიტორიის უშიშროებას და ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლეს, ჩვენ მზად ვართ ვიკისროთ ყოველგვარი, სულ უკიდურესი პასუხისმგებლობაკი (ადს).

---

## საავტომობილო კატასტროფები 1934 წელს

**პარიზი.** 23 მაისი. ფრანგულ ჟურნალ „ქრონიკ დე ტრანსპორის" გადმოცემით, სენის და უაზის დეპარტამენტში, რომლის ტერიტორიაზე პარიზიც მდებარეობს, 1934 წელს მოხდა 2.782 საავტომობილო კატასტროფა, 1933 წელს კი იყო 3.388 კატასტროფა. ამ კატასტროფათა შედეგად 1934 წელს მძიმედ და მსუბუქად დაშავდა 2.476 კაცი, 1933 წელს კი — 2.576 კაცი. მოკლულთა რიცხვი 1934 წელს გადიდდა, მიაღწია 205 კაცს, მაშინ როცა 1933 წელს შეადგენდა 172-ს (ადს.)

## ერთა ლიგის საბჭოში

### კომპრომისი იტალია—აბისინიის კონფლიქტის გამო

**ჟენევა,** 25 მაისი. გუშინ ლიტვინოვის თავმჯდომარეობით შედგა ერთა ლიგის საბჭოს ღამის სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა დროებითი კომპრომისი იტალია-აბისინიის კონფლიქტის გამო.

მიიღეს ორი რეზოლუცია, რომლებიც აწესებენ შემდეგ პროცედურას:

მხარეები შემათანხმებელ კომისიაში გზავნიან თი-თო არბიტრს, ამასთან იტალიის მთავრობას უკან მიაქვს თავისი მოსაზრებანი იმის წინააღმდეგ, რომ აბისინია წარმოდგენილი იყოს არა აბისინელი ეროვნების არბიტრებით. კომისიას ევალება მოახდინოს არა მარტო უალ-უალში დეკემბერს მომხდარი შეტაკების, არამედ აგრეთვე ყველა მერმინდელი სასაზღვრო ინციდენტის შედეგთა ლიკვიდაცია. თუ არბიტრები 25 ივლისისათვის ვერ მიაღწევენ შეთანხმებას არსებითად, ისინი ნიშნავენ მეხუთე ნეიტრალურ არბიტრს (შემათანხმებელი კომისია შედგება 4 არბიტრისაგან). ამით დავა გადავა არბიტრაჟის სტადიაში. თუ ამ ვადისათვის არბიტრები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მეხუთე არბიტრის დანიშვნის შესახებ, საქმე უნდა გადავიდეს ერთა ლიგის საგანგებო სესიის განსახილველად, თუ მე-5 არბიტრი დაინიშნება, მაგრამ არბიტრაჟის თვითონ პროცედურა 25 აგვისტოსათვის დადებით შედეგებს არ გამოიღებს, ისევ მოწვეულ უნდა იქნას ლიგის საბჭოს საგანგებო სესია.

ამგვარად, თავის პირვანდელ კატეგორიულ განცხადებათა წინააღმდეგ, იტალიის მთავრობა საგრძნობ დათმობებზე წავიდა პროცედურის საკითხზე, — იგი დაეთანხმა ლიგის ჩარევასაც, განსაზღვრული ვადების დაწესებასაც, გარდა ამისა, პირველი რეზოლუციის შესავალ ნაწილში არის მითითება იტალია-აბისინიის 1928 წლის ხელშეკრულების მე-5 მუხლზე, რომელიც ავალებს მხარეებს არ მიმართონ ძალას. ამ მუხლის სრული ტექსტი წაიკითხა საბჭოს თავმჯდომარემ ლიტვინოვმა რეზოლუციის პროექტთა გამოქვეყნების წინ. საერთო აზრი ისეთია, რომ იტალიელები დათმობაზე წავიდნენ იმის გამო, რომ ინგლისელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს არ დაეშვათ ლიგის ჩამოცილება კონფლიქტში ჩარევისაგან, აგრეთვე იმის გამო, რომ საფრანგეთის წარმომადგენლებმა არსებითად მხარი დაუჭირეს ინგლისელებს.

მეორე მხრივ, მიღწეული კომპრომისი ღიად სტოვებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. მაგალითად, საკითხი იტალია-აბისინიის საზღვრისა აღმოსავლეთ-აფრიკაში უნდა გადაწყდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამთავრდება სასაზღვრო ინციდენტების განხილვა, აგრეთვე უყურადღებოდ დარჩა იტალიის სამხედრო ღონისძიებანი აღმოსავლეთ აფრიკაში.

ამას წინ უძღვოდა ფრიად დაძაბული მოლაპარაკება მთელი დღის განმავლობაში.

როგორც გადმოგვცემენ, იტალიის მთავრობა თითქმის სულ უკანასკნელ დრომდე შეუპოვრად ილაშქრებდა მთელი რიგი მომენტების წინააღმდეგ, რომლებსაც შეიცავს ინგლისის წარმომადგენელთა კომპრომისული წინადადება. ამ წინადადებას, ზოგიერთი ცვლილების შეტანით, შეუერთდნენ საფრანგეთის წარმომადგენლებიც, იტალიის მთავრობის პასუხი ინგლის-საფრანგეთის წინადადებებზე მიღებულ იქნა შუა-ღამისათვის.

იტალია რომ არ აპირებს თავისი სამხედრო მზადების არც შეწყვეტას, არც შესუსტებას აბისინიის საზღვარზე, ეს საკმაოდ ნათლად დაგვანახვა ალოიზის გუშინდელმა სიტყვამ, რომელიც მან რეზოლუციის კენჭისყრის წინ წარმოსთქვა. ამავე სიტყვაში გამოხმაურება ჰპოვა იმ გალიზიანებამ, რომელიც რომში ინგლისის ენერგიულმა ჩარევამ გამოიწვია. ალოიზის სიტყვის მთელი აბზაცი შეიცავდა გალაშქრებას იმ „მანევრების" წინააღმდეგ, რომლებიც ართულებენ კონფლიქტის გადაჭრას (ადს).

## ერთა ლიგის საბჭოს სესიის საბოლოო სხდომა

**ჟენევა,** 26 მაისი. გუშინ საღამოს ლიტვინოვის თავმჯდომარეობით შედგა ერთა ლიგის საბჭოს სესიის საბოლოო სხდომა.

პირველ რიგში განხილულ იქნა დანციგის ორგანიზაციების (მათ შორის ცენტრის კათოლიკური პარტიის) და ცალკე პირთა საჩივრები დანციგის ნაციონალ-სოციალისტური მთავრობის მოქმედებაზე, რომელიც არღვევს დანციგის კონსტიტუციას და პოლიტიკური უმცირესობის მისგან გამომდინარე უფლებებს.

მომხსენებელმა იდენმა შეიტანა წინადადება საქმე გადაეცეს იურისტთა კომიტეტს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს — ადგილი აქვს თუ არა ამ შემთხვევაში კონსტიტუციის დარღვევას. დანციგის სენატის თავმჯდომარემ გრეიზერმა განაცხადა, რომ წინდაწინვე ემორჩილება იურისტთა კომიტეტის გადაწყვეტილებას. საბჭომ მიიღო იდენის წინადადება.

შემდეგ საბჭომ მოახდინა ლიკვიდაცია უნგრეთ-სამხრეთსლავიის კონფლიქტისა მარსელის მკვლელობათა გამო. უნგრეთის წარმომადგენელმა თავის მთავრობის სახელით დასდო პირობა, რომ იგი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს სამხრეთსლაველი ემიგრანტების მოქმედებას უნგრეთის ტერიტორიაზე.

სამხრეთსლავიის დელეგატმა ფოტიჩმა განაცხადა, რომ დაკმაყოფილებულად სთვლის თავს.

მომხსენებელ იდენის წინადადებით საბჭომ დაადგინა ინციდენტი ამოწურულად ჩაითვალოს.

ბოლოს დაადგინეს გადასდონ შემდგომ სესიამდე ერაყ-ირანის სასაზღვრო დავა მდინარე შატ-ელ-არაბის გამო. ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ რომში წარმოებული მოლაპარაკება ლიგის მიერ დანიშნული მომხსენებლის, იტალიის დელეგატის ალოიზის შუამავლობით უშედეგოდ დამთავრდა. თურქეთის დელეგატმა თევფიკ რუშტი არასმა ურჩია მხარეებს საკითხი მოაგვარონ პირდაპირი დიპლომატიური მოლაპარაკების გზით. არასი გამოსთქვამს იმედს, რომ ორივე მხარე გამოიყენებს ვადის გადადებას და შეუმსუბუქებს ამოცანას მომხსენებელს.

ლიტვინოვმა, როგორც სსრ კავშირის წარმომადგენელმა, გაიზიარა არასის იმედი.

სესიამ ამით დაამთავრა მუშაობა.

## კავკასიის საუღელტეხილო გზის პროექტები

გზათა სახალხო კომისარიატმა 165 ათასი მანეთი გადასდო კავკასიის საუღელტეხილო რკინის გზის პროექტების შესადგენად ორი ვარიანტით: დარკოხი-გორი და ორჯონიკიძე — ტფილისი. პროექტების შედგენა მინდობილი აქვს „ზაკჟელდორსტროის". მუშაობა პროექტების სადგენად დაიწყება წელს და იწარმოებს ორივე მიმართულებით გასულ წელს გადაღებული ადგილის ჰორიზონტალის გეგმების საფუძველზე.

პროექტების დამთავრების შემდეგ შედგენილი იქნება გზის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, საბოლოოდ გადაწყდება საკითხი გზის მიმართულების შერჩევის შესახებ და დაიწყება მშენებლობის საბოლოო დაპროექტება.

„კომსომოლსკაია პრავდის" 10 წლის სახელობის ველოგადარბენის დროს, რომელიც 24 მაისს გაიმართა საქ. სამხედრო გზაზე, ქალთა შეჯიბრებაში 15 კილომეტრზე პირველობა მოიპოვა საუკეთესო ველოსიპედისტმა ლილი მიკირტუმოვამ.

სურათზე: ლ. მიკირტუმოვა.

## მეორე თვითმფრინავი ზემო-სვანეთს

შარშან ზემო-სვანეთის მშრომელმა მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით ააგო თვითმფრინავი „ზემო-სვანეთი". გასული წლის 21 აგვისტოს მესტიაში პირველად მოფრინდა თვითმფრინავი. ზემო-სვანეთის მუდამ თოვლიან მწვერვალების პირველი გადალახვა ჩვენი ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ამხ. ჭანკოტაძემ მესტიიდან მძიმე ავადმყოფებიც კი სამჯერ გადმოიყვანა ტფილისში.

ყოველივე ამან, ჯერ კიდევ უგზო, ტრანსპორტის მხრივ მოუგვარებელი რაიონის მოსახლეობაში გამოიწვია ახალი თვითმფრინავის აგების სურვილი. მშრომელი გლეხების მოთხოვნით აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყო მეორე თვითმფრინავის „ახალი სვანეთის" ასაგები თანხების ნებაყოფლობით შეგროვება. საამისო მუშაობა სწრაფად გაიშალა. დღემდე შეგროვილია 26.000 მანეთი. თანხების აკრეფა გრძელდება. (საქ. კორ.).

## აშენებენ სრულ საშუალო სკოლას

**ქუთაისი,** (საქ. კორ). სოფ. მაღლაკში შენდება სრული საშუალო სკოლა 22 ოთახით. სკოლის შენობა დაპროექტებულია. ხარჯთაღრიცხვით შენობის აგება ჯდება 395.000 მანეთი.

კოლმეურნეები და ერთპიროვნული გლეხები ეხმარებიან სასოფლო საბჭოს საშენი მასალის მოზიდვაში. მშენებლობა 1936 წლის ბოლოს უნდა დამთავრდეს.

## გამოფენა ტფილისის სამხატვრო აკადემიაში

პირველ ივნისს, ტფილისის სამხატვრო აკადემია სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით ხსნის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ოთხი განყოფილება: ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების და კერამიკის. გამოფენის მიზანია აკადემიის სტუდენტთა მიერ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული შემოქმედებითი მუშაობის დემონსტრაცია. გამოფენა გასტანს 10 ივნისამდე.

## ამუშავდა

### ჩაის ხელოვნური ჭკნობის საამქროს პირველი აგრეგატი

**ზუგდიდი,** (საქ. კორ.). ზუგდიდის ჩაის ფაბრიკაში ამუშავდა ჩაის ხელოვნური ჭკნობის საამქროს პირველი აგრეგატი, რომელმაც პირველ დღესვე გადაამუშავა 700 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. აგრეგატის სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ინჟ. ედიგარი. უახლოეს დღეებში ამუშავდება მეორე აგრეგატი.

## საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

### ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოს ორგანიზაციებში სამრავლებელი მანქანების და აპარატების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სახის სამრავლებელი მანქანების (სასტამბო, სალითოგრაფიო, საცინკოგრაფიო, მინაგრაფი, შაპიროგრაფი, როტატორი და სხვ.) სავალდებულო რეგისტრაცია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოს („მთავლიტი") ორგანოებში.

2. ყველა დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და პირი, რომელიც ეწევა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საგამომცემლო საქმიანობას, ან რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს რაიმე სამრავლებელი მანქანა ან აპარატი, ვალდებულია დაარეგისტროს ეს მანქანა და აპარატი ტფილისში — ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოში, ხოლო რესპუბლიკის სხვა ადგილას — ამ მთავარი სამმართველოს ადგილობრივ ორგანოში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან (საქალაქო საბჭოსთან), კუთვნილებისამებრ.

3. სამრავლებელი მანქანების და აპარატების რეგისტრაციის დროს წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი ცნობები:
ა) იმ დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ან პირის სახელწოდება, რომლის გამგებლობაშიაც არის სამრავლებელი მანქანა ან აპარატი;
ბ) დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი;
გ) სამრავლებელი მანქანის ან აპარატის სახე და ტიპი;
დ) სამრავლებელი მანქანის ან აპარატის მოთავსების ადგილი.

4. სამრავლებელი მანქანების და აპარატების რეგისტრაციის წესს და ვადას აწესებს და საყოველთაოდ აქვეყნებს ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველო.

5. ამა დადგენილების აღსრულებისათვის თვალყურისდევნება ეკისრება მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებს.

6. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას — ჯარიმას ას მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ერთ თვემდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით, ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20, მუხ. 207; 1932 წ. № 24, მუხ. 236).

7. მიენდოს ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **გ. თათეიშვილი**

1935 წ. 19 მაისი.
№ 642 ტფილისი.

## შემთხვევები

# **გაუფრთხილებელი სვლა.** ერისთავისა და სანაპირო ქუჩების კუთხეში სამგზავრო ავტომანქანა № 8—49, რომელსაც მართავდა შოფერი ნ. ა. გერარდი, დაეჯახა მოქ. კ. ნ. ვარძელაშვილს (სანაპირო ქ. № 3) და დააშავა. შოფერი მიცემულია პასუხისგებაში.

# **ქურდობა.** ტყავტრესტის პირველი ქარხნიდან სამი ტყავის ქურდობისათვის შეიპყრეს ფ. პ. შევცოვი (მიასნიკოვის ქ. 84).

# **ხულიგნობისა** და მოქ. კ. ფ. გრიგორიანის შეურაცხყოფისათვის დააპატიმრეს ლ. გ. გოგიბერიძე და მ. ი. ფიროსმანიშვილი. სასადილო „ყაზბეგში" ჩხუბისათვის შეიპყრეს ტ. ა. ამირხანოვი. ჩხუბისა და კონტროლიორის შეურაცხყოფისათვის პლეხანოვის კლუბში დააპატიმრეს ა. ა. ტუტურაშვილი.

## ქალაქის კომენდანტისაგან

ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 27 და 28 მაისს მლაშე ტბის რაიონში ზარბაზნების სროლა იქნება.

## პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტის პარტკაბინეტში (ძნელაძის ქ. № 30), დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება ამხ. შარიას მოხსენება თემაზე: „ამხ. სტალინის სიტყვა კრემლის სასახლეში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე 1935 წლის 4 მაისს". მოხსენებას უნდა დაესწროს ყველა პროპაგანდისტი და აგიტატორი.

| დღეს<br>15 აბონ. 9 წარ.<br>რღვევა | 28 მაისს<br>ამხ. ფ. მახარაძის კოლმეურნეობას<br>16 აბონ. 9 წარ.<br>რღვევა | 29 მაისს<br>სტ. აბ. დ მე-9 წ.<br>რღვევა |
|---|---|---|

სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8-ნახ. საათზე.

სახ. ოპერა 1934-35 წ. სეზ.

| დღეს<br>15 აბონ. 14 წარმ.<br>ოტელო | 28 მაისს<br>8 აბ. 15 წარ.<br>I. ლაკმე<br>II. კონცერტი<br>ჩიკვაიძის და ვაშაკიანის მონაწ. | 29 მაისს<br>4 აბ. 15 წარ.<br>ზ.ი. ანდღულაძის მონაწილეობით<br>კარმენ |
|---|---|---|

30 მაისს აბ. გარეშე ფ. მუხტაროვას და დ. ი. ანდღულაძის მონაწილ. უკანასკნელად სამსონ და დალილა.

| 27 მაისს | აბ. არიაში<br>განურჩევლად პიროვნებისა | წარ. № 163 |
|---|---|---|
| 28 მაისს | აბ. № 5 მე-5 წარ.<br>განურჩევლად პიროვნებისა | წარ № 164 |

დასაწყისი საღ. 8-ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

| | |
|---|---|
| ოქტომბერი<br>6-30, 8-30, 10-30 | პრემიერა. დიდი მხატვრ. ხმოვ. ფილმი<br>გლეხები |
| დამკვრელი<br>(საზაფხ. საამთოო)<br>6, 7-30, 9, 10-30 | უკანასკნელი სერია — განწირულნი |
| ტემპი (საზამთ.)<br>6, 7-30, 9, 10-30 | მხატვრ. ფილმი — [illegible] და გელა |
| ტემპ (საზაფხ. ბაღი)<br>8-45 10-45 | მეორე კვირა ხმოვანი კომედია<br>ცხარე დღეები |
| რ. ლიუქსემბურგის სახ.<br>6-30, 8-30, 10-30 | მხატვ. ხმოვ. ფილმი — მეოცნებენი |
| ეთერი (საზაფხ.)<br>8-45 10-30 | მეორე კვირა<br>კომედია ბედნიერი ფინიში |
| „26"-ის კომ. სახ.<br>6-30, 8-30, 10-30 | მე-3 მე სერია — მის-მენდ |
| კომინტერი ი საზაფხ.<br>(დიდუბეში). 8-30, 10-30. | მხატვრ. ისტორიული ფილმი<br>პოეტი და მეფე |

ტყიბულის რაისასამართლოს აღმასრულებელი ნ. ა. ქათამაძე აცხადებს რომ ა. წ. 30 მაისს დილის 11 საათზე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ტყიბულში (საქ. კურსები) კურსების გრაფიტის ქარხნის შენ. ქონება: 1. ძელავები — 29 776 მან. 2 სხვა... მასალა — 1788 მან. 3 ფიქალი — 3 750 მან., 4. სალარო — 4000 მან., 5 სახ... — 30 000 მან. სულ 69.314 მან., სახ. ბანკის ტყიბულის განყოფილების ვადაგადაცილებულ სესხების დასაფარავად... № 118-120-121. საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება საოქალაქო საპ. კოდ. სათანადო მუხლები. 243

27 მაისს, საღამოს 7-ნახ. საათზე, ამიერ კავკასიის „26" სახ. უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო სამეურნეო სკოლაში (მიო ნიტ ძის ქ. 6) შესდგება საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში წარმოების ორგანიზაციის კათედრის ღია სხდომა. დღის წესრიგში ამხ. ბ. მეხხის მოხსენება „ჩაიანოვური იდეების შესახებ ნ. იაშვილის ნაშრომებში: „ტერიტორიის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში" და „ორგანიზმების შედგენის მეთოდიკა". სხდომაზე მოწვეულნი არიან ყველა სასოფლო სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულების, სახ. მიწსახკომის „საქართველოს გაის", საბჭოთა მეურნეობების ტრესტის და სხვა ორგანიზაციების მუშაკები. 8348

ექიმი
ბ. ნ. ონიანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი „914"-ის შესხაპუნება. ...ქსობ ივი ... მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილის 10—12-მდე და საღ. მოს 6—8-ნახ. ს. ნინოშვილის ქუჩა (ყოფ. ალექსანდროვის) № 5 ფაბრიკა „მკერავის" პირდაპირ.
6—5 8306

ექიმი
ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფთა მიღება დილის 8—9 საათზე, დ. საღამოს 6½—8½ საათ. ... № 72 ...

ექიმი
ს. ვ. მუსხელიშვილი
თვალის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 5—7 საათამდე
ყორღანოვის ქ. № 3

ექიმი
შ. ბ. სეხნიაშვილი
კანის, ვენერიული, ... შეხვევა № 10 ... ქ. № 40-ში. 5—8 ს. საღ. ტელ. №3-44-16.

დედა ქრისტინე, მამა ტრიფონი, და ხინა, სიძე ლოტო მდივანი შვილით ნანუკით იუწყებიან, რომ 30 მაისს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ალექსანდრე (საშა) ტრიფონის-ძე ჩხეიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 8346

ამხ. ჭყოსელი, ლ. ანდრიაძე, ს. მელქოევი, ს. დადიანი, ე. ურუშაძე, ე. შანიძე, დ. გამეზელი, ე. ფრანგულაშვილი, ნ. აბესაძე, მ. გაბუნია, გ. კალანდაძე, თ. წერეთელი, ბ. პოდგორსკი, მ. ელერდაშვილი, ქ. ჭავჭანიძე, ე. კავკასიძე, მ. არონიშიძე, იუწყებიან ვალიკო კეშელავას დედის
ანნა კეშელავას
გარდაცვალებას.

დედა მარგარიტა შვილით, ციცინოთი, ალექსანდრე ოდიშარია მეუღლით მართათი, ალექსანდრე ვაგნერი მეუღლით ნინოთი და შვილით გრიგოლით იუწყებიან, რომ 30 მაისს 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
იზა ფალავანდიშვილი ჯალიაშვილი
სამოქ. პანაშვიდი. 8347

მეუღლე სოფიო, შვილები: ანიკო წუწუნავა, გიორგი, მაშიკო, დათიკო, ირაკლი რცხილაძეები, თამარა, არსენ ოდრიები, რძლები მარიკა, თამარა მწუხარებით იუწყებიან
ტარასი გრიგოლის-ძე რცხილაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მაისს 5 ნახევარ საათზე ვერის სასაფლაოზე. 8342

დამწუხრებული მეუღლე კასიანე შვილებით: ლევანი, ბაბილინე, რძალი ციცი შვილიშვილით ლევიკო, ძმისშვილი კოლია, რძალი ნინა შვილებით წულუკიძეები იუწყებიან საყვარელ
ანტონ ლევანის-ძე წულუკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქვილიშორში. 8340

გულმოკლული დედა ევგენია აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 მაისს 6 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ერთად-ერთი შვილის, დაუვიწყარ
ნადიკო ვლადიმერის ასულ კირკაშიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 8341

მეუღლე ილარიონი, შვილი ვალოდი, რძალი ვერა პატარა თენგიზით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი
ქრისტინე გიტოს ასულ მიქიაშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება 28 მაისს, სოფ. მოტყიარში (რაჭა).

შვილიშვილები: თინა, ნათელა წუწუნავები, ლეილა, ცირა, თინიკო რცხილაძენი, გივი, ვატო თოდრიები იუწყებიან საყვარელ
ტარასი გრიგოლის-ძე რცხილაძის
გარდაცვალებას. 8342

სოფიო და დავით ჯაფარიძეები შვილებით: ავთანდილით და გულნარათი, ქეთევანი და ალექსანდრე ჯორჯაძეები შვილებით: თენგიზით, ფირანით ღასტიან მოამაგე ბიძას
ტარასი გრიგოლის-ძე რცხილაძეს
გამოსვენება 27 მაისს კობის ჩიხი №

ორჯონიკიძის სახ. რაიდასუფთავების ტრესტის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ტრესტის დირექტორის ლევან წულუკიძის მამის
ანტონ ლევანის-ძე წულუკიძის
გარდაცვალების გამო. 8343

შვილები: ეფენია, ვანო, ნიკა, რძალი ქეთო მერიკოთი, სიძე ფილიკო ფეოფილაქტოს იუწყებიან, რომ დღეს 7 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ნატალია გიორგის ასულ
ანანიაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 8345

ორჯონიკიძის სახ. რაიგანათლების განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კოტე პერონიძეს მისი ცოლის
ლიპა პერონიძის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 28 მაისს კუკიის სასაფლაოზე. 8350

დამწუხრებული შვილი თამარ, სიძე კოტე ქადეიშვილი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს
ლევან მელქისედეკის-ძე მუჩაიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 27 მაისს ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოდან დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 5 საათზე. 8344

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 9384.